საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო

გაცნობებთ, რომ შპს „მუხრანის ღვინოს", ქედის მუნიციპალიტეტში, სოფ. ზუნდაგას ტერიტორიაზე, მდ. აჭარისწყლის მარჯვენა სანაპიროსთან გააჩნია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. წყალდიდობისა და წყალმოვარდნის დროს მდინარის კალაპოტში განვითარებული გვერდითი და სიღრმითი ეროზიული პროცესების შედეგად ირეცხება და იტბორება მდინარის მარჯვენა ნაპირი და საფრთხე ექმნება ტერიტორიაზე არსებულ ხე-მცენარეებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „მუხრანის ღვინომ" მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს ეროზიის საწინააღმდეგო ნაპირდაცვითი სამუშაოები.

ვინაიდან, საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-II დანართის, მეცხრე პუნქტის, 9.13 ქვეპუნქტის შესაბამისად, ნაპირდაცვითი და სანაპირო ზოლის ეროზიის შესაკავებლად ან/და სანაპირო ზოლის აღდგენის მიზნით გათვალისწინებული სამუშაოები, აგრეთვე საზღვაო სამუშაოები, რომლებითაც შეიძლება სანაპიროს შეცვლა მშენებლობის მეშვეობით (კერძოდ, დამბის, ჯებირის, მიწაყრილის განთავსება და ზღვისგან დაცვის სხვა სამუშაოები), გარდა მათი სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, ზემოაღნიშნული კოდექსის მე-7 მუხლის გათვალისწინებით, მომზადებული იქნა შესაბამისი სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ განიხილოთ, თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია **shape** ფაილებთან ერთად.

პატივისცემით,

კობა მჟავანაძე

დირექტორი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 12838
20 07 2021
02